შეთანხმება

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი: მოქალაქე [illegible] მამაცაშვილი და შპს "ახალგაზრდა 18"-ის დირექტორი ირმა ნებიერიძე ვთანხმდებით შემდეგზე: ქ. თბილისში 31 მარტს 2014 წლის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების [illegible] [illegible] მოქ [illegible] [illegible], მოქ [illegible] [illegible] და შპს "ახალგაზრდა 18"-ის [illegible] 1.1. [illegible] [illegible] და [illegible] შპს "ახალგაზრდა 18"-ის [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]

[illegible] მამაცაშვილი [illegible]

შპს "ახალგაზრდა 18" დირექტორი ირმა ნებიერიძე [illegible]

შპს "ახალგაზრდა 18" [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ბეჭედი №449
თარიღი: 31 მარტი 2014 წ.
საბუთის ფურცელი 01 ხელმოწერა

- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
- მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.14.11.042.059
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო
- მისამართი: ქ. თბილისი, არაყიშვილის II ჩიხი, №1-3-5
- შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა: №1,№2,№3,№4,№5
- ნაკვეთის წინა ნომერი: 01.14.11.042.057;

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	14	11	042/059

მესაკუთრე: ელენე ბურჯალიანი და რობერტ ბურჯალიანი. 215 კვ.მ. და 72 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. შენობა-ნაგებობები №1 და №5 თანასაკუთრებაში.

1.4. ვინაიდან ასეთი შეუსრულებლობა არ ჩაითვლება მისი ბრალით გამოწვეულად), წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული "მყიდველის/მენარდეს" მიერ ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში "გამყიდველისათვის/მესაკუთრისათვის" გადასაცემი ოთხი ბინის და ორი ავტოსადგომის მონაცემებია:

საცხოვრებელი სახლის III სართულზე 120(ასოცი მთელი და ნული მეასედი) კვ.მ. (ფართი ტიხრების გარეშე, აივნების ჩათვლით) მუხლი 4-ის თანახმად გარემონტებული ბინა და 1 (ერთი) ავტოსადგომი საერთო სადგომზე – რობერტ ბურჯალიანს.

საცხოვრებელი სახლის II და III სართულებზე 95.0 (ოთხმოცდათხუთმეტი მთელი და ნული მეასედი) კვ.მ. (ფართი შიდა ტიხრების გარეშე, აივნების ჩათვლით), მუხლი 4-ის თანახმად გარემონტებული ბინა, 95.0 (ოთხმოცდათხუთმეტი მთელი და ნული მეასედი) კვ.მ. (ფართი შიდა ტიხრების გარეშე, აივნების ჩათვლით) მუხლი 4-ის თანახმად გარემონტებული ბინა, 40.0 (ორმოცი მთელი და ნული მეასედი) კვ.მ. (ფართი შიდა ტიხრების გარეშე, აივნების ჩათვლით)მუხლი 4-ის თანახმად გარემონტებული ბინა და 1 (ერთი) ავტოსადგომი საერთო სადგომზე – ელენე ბურჯალიანს.

1.5. ამ მუხლის 1.2. და 1.3. პუნქტებით გათვალისწინებულ ქონებაზე საკუთრების უფლება "მყიდველ/მენარდეზე" გადადის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე.

1.6. თუ "მყიდველი/მენარდე" ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. და 1.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას იმის გამო, რომ შესაბამისი ორგანო არ გასცემს მშენებლობის ნებართვას (ამ შემთხვევაში "მყიდველს/მენარდეს" არ ეკისრება არანაირი პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შედეგადაც მხარეებს უბრუნდებათ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სარგებელი. კერძოდ "მყიდველი/მენარდე" ვალდებულია "გამყიდველს/მესაკუთრეს" დაუბრუნოს 1.3. პუნქტით გათვალისწინებული ქონება, ხოლო "გამყიდველი/მესაკუთრე" ვალდებულია სრულად დაუბრუნოს "მყიდველს/მენარდეს" 1.1. პუნქტის საფუძველზე მიღებული თანხა 20000 (ოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ხელშეკრულების შეწვეტისთანავე.

მუხლი 2. ძირითადი პირობა და ანგარიშსწორება

2.1. "მყიდველი/მენარდე" აცხადებს, რომ "გამყიდველისათვის/მესაკუთრესათვის" საცხოვრებელი ბინის ან ბინების გადაცემამდე მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში "მყიდველი/მენარდეს" მიერ საცხოვრებელი სახლის

აშენებამდე "მყიდველი/მენარდესათვის" გადაცემული კუთვნილი/წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთსა და მასზე აბლად ასაშენებელ შენობაში "გამყიდველი/მესაკუთრისათვის" 1.4. პუნქტით გათვალისწინებულ ფართებს არ დატვირთავს უფლებრივად მესამე პირთა სასარგებლოდ, ხოლო "გამყიდველის/მესაკუთრის" მიმართ ნაკისრი ვალდებულება დადასტურებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.3. პუნქტით განსაზღვრული "გამყიდველის/მესაკუთრის" მიერ გადასაცემი კუთვნილი/ წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული ბინის ღირებულება შეადგენს 246840 (ორას ორმოცდაექვსი ათას რვაას ორმოცი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში;

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების 1.4. პუნქტით განსაზღვრული "მყიდველის/მენარდეს" მიერ ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში "გამყიდველისათვის/მესაკუთრისათვის" გადასაცემი ბინის და ერთი ავტოსადგომის ღირებულება შეადგენს 246840 (ორას ორმოცდაექვსი ათას რვაას ორმოცი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

2.4. "მყიდველის/მენარდეს" და "გამყიდველის/მესაკუთრის" მიერ ურთიერთშორის გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულების თანაბრობიდან გამომდინარე მხარეებს შორის მოხდება თანხების ურთიერთჩათვლა.

2.5. – ძველი საცხოვრებელის სახლის დემონტაჟიდან ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრებამდე ან "გამყიდველის/მესაკუთრის" კუთვნილი ბინის ამ ხელშეკრულების 4.3. პუნქტის შესაბამისად რემონტის დასრულებამდე "გამყიდველს/მესაკუთრეს" ყოველთვიურად უხდის 870 (რვაას სამოცდაათი) ლარს **რობერტ ბურჯალიანს** და 1570 (ათას ხუთას სამოცდაათი)ლარს **ელენე ბურჯალიანს.**

2.6. სარეგისტრაციო მოსაკრებელების გადახდის ვალდებულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში – საჯარო რეესტრში ეკისრება "მყიდველს/მენარდეს".

მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. "მყიდველი/მენარდე" ვალდებულია:

– შეასრულოს სამუშაო მშენებლობისათვის დადგენილი სტანდარტების მკაცრი დაცვით და სათანადო ხარისხით;

– შეასრულოს სამუშაო წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

– "გამყიდველის/მესაკუთრის" მოთხოვნით ერთი თვის ვადაში უსასყიდლოდ გამოასწოროს ყველა აღმოჩენილი ნაკლი და ცდომილება "გამყიდველისათვის/მესაკუთრისათვის" გადასაცემ ფართზე;

– მშენებლობა აწარმოოს პროექტის შესაბამისად;

– საკუთარი ხარჯებით მოახდინოს "გამყიდველის/მესაკუთრის" მიერ გადაცემული კუთვნილი/ წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთზე არსებული ბინის დემონტაჟი;

– მოახდინოს კოეფიციენტის შესყიდვა საცხოვრებელი სახლის აშენებისათვის

3.2. "მყიდველს/მენარდეს" უფლება აქვს

– "გამყიდველზე/მესაკუთრეზე" გადასაცემი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების გარდა, დარჩენილი საცხოვრებელი, არასაცხოვრებელი და ყველა სხვა სახის ფართი სრულად განკარგოს (გასხვისება, გაყიდვა, დატვირთვა და ა.შ) "გამყიდველთან/მესაკუთრესთან" შეთანხმების გარეშე.

– დამტკიცებული პროექტის შემდგომ მოახდინოს დამატებით ერთი სართულის დაშენება.

3.3. "გამყიდველი/მესაკუთრე" ვალდებულია;

– წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ალარ აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებით;

– მშენებლობის დასრულების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში, თუკი მშენებლობა ჩატარებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, მიიღოს და ჩაიბაროს გარემონტებული ბინები და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით გააფორმოს ყველა შესაბამისი ხელშეკრულება და დოკუმენტი;

– **"გამყიდველისათვის/მესაკუთრისათვის"** საცხოვრებელი ბინების გადაცემის შემდგომ მოხსნას ვალდებულება;

– ხელი არ შეუშალოს და დაბრკოლება არ შეუქმნას **"მყიდველს/მენარდეს"** მშენებლობის წარმოების პროცესში;

ასევე არანაირი წინააღმდეგობა ან დაბრკოლება არ შეუქმნას **"მყიდველს/მენარდეს"** საცხოვრებელ სახლზე დამატებით ერთი სართულის დაშენების შემთხვევაში.

მუხლი 4. ასაშენებელი სახლისა და "გამყიდველისათვის/მესაკუთრისათვის" გადასაცემი ბინების მდგომარეობა

4.1. საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს სრულად გადახურული და მშენებლობა დასრულებული;

4.2. საცხოვრებელი სახლის ინტერიერი და ექსტერიერი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და პროექტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან სადარბაზო უნდა იყოს მოპირკეთებული, ლიფტი დამონტაჟებული და გამართული, საამშენებლო მასალა და ნაგავი გატანილი, კიბეები სრულად დამონტაჟებული და ექსპლუატაციისთვის ვარგისი; ;

4.3. "გამყიდველისათვის/მესაკუთრისათვის" გადასაცემი ბინები უნდა იყოს სტანდარტული რემონტის მდგომარეობით:

ა) სველი წერტილები დასრულებული სახით;

ბ) იატაკის ქვეშა ცემენტის ხსნარით მოჭიმული და ლამინირებული (თურქული წარმოების, 1 კვ.მ. ფასი 16 ლარი) იატაკის მოწყობა;

გ) კედლების გაჯით შელესვა;

დ) ელექტრო სადენების მონტაჟი მთელ პერიმეტრზე, ჩამრთველებით, შტეფსელებით, გამანაწილებელი კოლოფებისა და კარადების მონტაჟით;

ე) შესასვლელი რკინის კარი ერთი საკეტით თითოეულ ბინაზე (ფასი 300 ლარი);

ვ) აივანზე მეტლახის (თურქული ან ირანული წარმოების, 1 კვ.მ. ფასი – 10 ლარი) დაგება;

ზ) სამზარეულოში იატაკის და კედლების ნაწილის მეტლახითა და კედლის კაფელით (მეტლახი და კაფელი თურქული ან ირანული წარმოების, 1 კვ.მ. ფასი –10 ლარი) მოპირკეთება;

თ) შიდა ოთახებში ჩამონტაჟებული მდფ-ის (თურქული წარმოების, ფასი 200 ლარი) კარებები საკეტებით.

ი) ცენტრალური საკანალიზაციო და წყლის დგარების ადგილზე წერტილის მოწყობა და მასზე თურქული წარმოების უნიტაზის (ფასი 100 ლარი), პირსაბანის (ფასი 65-70 ლარი) და საშხაპი ს(ფასი 200 ლარი) მოწყობა. ასევე იატაკის მეტლახითა და კედლის კაფელით (მეტლახი და კაფელი თურქული ან ირანული წარმოების, 1 კვ.მ. ფასი 10 ლარი) მოპირკეთება;

კ) გარეთ გამავალი კარ-ფანჯარა უნდა იყოს მეტალო-პლასმასის (თურქული წარმოების);

მ) ბინის საკანალიზაციო, ელექტრო, ბუნებრივი გაზის, წყლის კომუნიკაციები მიერთებული უნდა იყოს

ცენტრალურ დგარებთან;

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს მხარეთა უფლება-მოვალეობების სრულად შესრულებამდე.

5.2. "მყიდველი/მენარდე" ვალდებულია უზრუნველყოს მშენებლობის დასრულება მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ დამტკიცებული სამშენებლო დოკუმენტაციით დადგენილ ვადებში.

მუხლი 6. "გამყიდველი/მესაკუთრეს" უძრავი ქონების უფლებრივი უნაკლობის შესახებ

6.1. "გამყიდველის/მესაკუთრის" კუთვნილი და "მყიდველზე/მენარდეზე" გადასაცემი უძრავი ქონება უფლებრივად უნაკლოა, არ არის დაყადაღებული და დატვირთული სავადასახადო გირავნობით.

6.2. იმ შემთხვევაში თუ მესამე პირმა "მყიდველს/მენარდეს" წაუყენა პრეტენზია "გამყიდველის/მესაკუთრის" მიერ გადაცემული უძრავი ქონების გამო იმ უფლების საფუძველზე, რომელიც წარმოიშვა აღნიშნული უძრავი ქონებისმიმართ წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე ან ხელშეკრულების დადების შემდეგ, "მყიდველი/მენარდე" უფლებამოსილია ჩართოს "გამყიდველი/მესაკუთრე" თანამოპასუხედ, ამასთანავე "მყიდველს/მენარდეს" უფლება აქვს მესამე პირს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი, რაც "გამყიდველს/მესაკუთრეს" აქვს მესამე პირის მიმართ.

6.3. მესამე პირის მიერ "გამყიდველის/მესაკუთრის" უძრავი ქონების (ხელშეკრულების საგნის) მიმართ უფლების დასაბუთების შემთხვევაში, "გამყიდველი/მესაკუთრე" ვალდებულია "მყიდველს/მენარდეს" აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

მუხლი 7. განსაკუთრებული პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით "გამყიდველი/მესაკუთრე" ადასტურებს, რომ "მყიდველს/მენარდეს" ანიჭებს უფლებამოსილებას განახორციელოს ყველა შესაბამისი მოქმედება და გაიაროს ყველა პროცედურა, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების 1.2. პუნქტში აღნიშნულ ადგილმდებარეობაზე და მისამართზე საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად.

7.2. მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება "მყიდველს/მენარდეს";

7.3. "მყიდველის/მენარდეს" მიერ ვალდებულებების შესრულებაზე უარის შემთვევაში, "გამყიდველს/მესაკუთრეს" უბრუნდება მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა, საცხოვრებელი სახლის პროექტი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია;

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. თითოეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში. ამასთან, თითოეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მეორე მხარეს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა;

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტით განსაზღვრული მშენებლობის დასრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში "მყიდველს/მენარდეს" დამატებით ეკისრება პირგასამტეხლო გადასაცემი ბინების ღირებულების 0.01 % ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე.

8.4. "მყიდველს/მენარდეს" მშენებლობის დასრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლო არ დაეკისრება, თუ ის გამოწვეულია სახელმწიფო დაწესებულების მხრიდან დამატებით წარმოშობილი მოთხოვნების შედეგად.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანისათვის, თუკი შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საგანგებო და საომარი მოქმედება/მდგომარეობა, ეპიდემია, კარანტინი, მორატორიუმი, საკანონმდებლო შეზღუდვები, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

9.4. ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგენისას ვალდებულებათა შესრულების ვადები გადაიწევა ამ ხელისშემშლელი პირობების არსებობის ვადით.

მუხლი 10. სხვადასხვა პირობები

10.1. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილი იქნას ცვლილებები და დამატებები;

10.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი წყდება ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ამათგან ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული

ძალა და ინახება მხარეებთან;

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელისმოწერები

"გამყიდველი/მესაკუთრე": მოქალაქე რობერტ ბურჯალიანი (პირადი №01008019556), მოქალაქე ელენე ბურჯალიანი (პირადი №01008021746) საკონტაქტო ტელეფონი: .... მობილური: ...., ელ-ფოსტა: ....

"მყიდველი/შენარდე": შპს "არაყიშვილი 18", ქ. თბილისი, იუნკრების ქუჩა №1, საიდენტიფიკაციო კოდი: 406113003. საკონტაქტო ტელეფონი: .... მობილური: 5 71 77 63 24, ელ-ფოსტა: aleko63@rambler.ru

ბანკი: "საქართველოს ბანკი,

მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ამ მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე.

"გამყიდველი/მესაკუთრე"

რობერტ ბურჯალიანი

ელენე ბურჯალიანი

"მყიდველი/შენარდე"

ირმა ნებიერიძე
შპს "არაყიშვილი 18"-ს
დირექტორი

შპს "არაყიშვილი 18"-ს
გენერალური დირექტორი
ალექსანდრე მიქაძე
ბ.ა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
№442

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით

ქ. თბილისი 10 აპრილი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი: ერთის მხრივ მოქალაქეები: ელენე ბურჯალიანი (პირადი №01008021746) და რობერტ ბურჯალიანი (პირადი №01008019556) სახით (შემდგომში "გამყიდველად/ მესაკუთრედ" წოდებული), და მეორეს მხრივ შპს "არაყიშვილი 18" (საიდენტიფიკაციო ნომერი 406113003) მისი დირექტორის ირმა ნებიერიძე (პირადი №01005003475)სახით (შემდგომში "მყიდველად/მენარდედ" წოდებული), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, დაიდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე 'გამყიდველი/მესაკუთრე" საკუთრებაში გადასცემს "მყიდველს/მენარდეს" კუთვნილ წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთს და მასზე არსებულ ბინას, ხოლო სანაცვლოდ "მყიდველი/მენარდე" უზრუნველყოფს ამ ნაკვეთზე ახალი საცხოვრებელი სახლის აშენებას და აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში "გამყიდველი/მესაკუთრისათვის" ოთხი ბინისა და ორი ავტოსადგომის საკუთრებაში გადაცემას. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ "გამყიდველი/მესაკუთრე" საკუთრებაში გადასცემს პუნქტი 1.3. აღწერილ უძრავ ქონებას "მყიდველ/მენარდეს", რომელიც სანაცვლოდ, "გამყიდველი/მესაკუთრის" მაგივრად შეასრულებს 2013 წლის 17 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას (ხელშეკრულება დამოწმებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, დამოწმების თარიღი 18 დეკემბერი 2013, განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882013598758), კერძოდ გადაუხდის 20000(ოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში ელენე ბურჯალიანის და რობერტ ბურჯალიანის კრედიტორს გიორგი მამულაშვილს (პირადი ნომერი 01030017344), რის შედეგადაც სრულად დაიფარება გიორგი მამულაშვილის მიმართ ელენე ბურჯალიანის და რობერტ ბურჯალიანის არსებული ვალდებულება და ნასყიდობის საგანს მოეხსნება იპოთეკა (აღნიშნულზე წერილობითი თანხმობა განცხადებულია გიორგი მამულაშვილის მიერ). "მყიდველი/მენარდე" აღნიშნულ თანხას გიორგი მამულაშვილს გადაუხდის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მშენებლობას ნებართვის გაცემიდან 10(ათი) დღის ვადაში. თანხის მიღების შემდეგ გიორგი მამულაშვილი ვალდებულია 30(ოცდაათი) დღის ვადაში დაცალოს საცხოვრებელი ფართი.

1.2. "გამყიდველის/მესაკუთრის" კუთვნილი წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული ბინა საკუთრების უფლებით ეკუთვნის "გამყიდველს/მესაკუთრეს", რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიწის მესაკუთრის კუთვნილი წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი და ასაშენებელი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, არაყიშვილის II ჩიხი, №1-3-5;

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული "გამყიდველის/მესაკუთრის" მიერ გადასაცემი კუთვნილი/ წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული ბინის მონაცემებია: